ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დავამთავროთ სამეურნეო წელი! ეს იქნება ჩვენი პარტიის ყრილობისათვის საუკეთესო საჩუქარი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი № 295 (13380) | ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

სამეუნებლო ობიექტებს — მაღალი ტემპი!

ეშენებლობის ხარაჩოები არტახებივით შემოვლებია ჩვენს რესპუბლიკას. დღეს, საქართველოს სსრ რუკაზე — იქ, სადაც წინათ „თეთრი წერტილები" იყო, მოკლე დროში გაჩნდა ახალი რაიონები, მუშათა დაბები, აშენდა და შენდება სამრეწველო საწარმოები, მძლავრი მიდროელექტროსადგურები, შახტები, საცხოვრებელი სახლები.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში მწყობრში შევიდა რამდენიმე მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები. ამუშავდა ლაჯანურისა და მაღალწნევიანი ხრამის მეორე მიდროელექტროსადგურები, თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის პირველი და მეორე ტურბოგენერატორები, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი მძლავრი დახურული ტიპის ელექტროღუმელები, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ახალი შენობა, გუდაუთისა და საგარეჯოს საბურავსარემონტო ქარხნები, ღვინის ქარხნები და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, სამასამდე ახალი ინდუსტრიული საწარმო და მსხვილი საამქრო.

სამწუხაროდ, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ, მიუხედავად საქმის ერთგვარი გაუჯობესებისა, ჩვენი მშენებლები ჩამორჩებიან ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების საქმეში. არ სრულდება ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმზე, ისე როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სობჭოს მეშვიდე სესიაზე, ბაზგასმით აღინიშნა კაპიტალურ მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი: სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები ჭიანურდება, ძვირდება ასამოქმედებელ საწარმოთა ღირებულება, იკინება დიდი სახელმწიფო სახსრები.

ზოგიერთი ობიექტის დამთავრებას ჩვენი მშენებლები რამდენიმე წელს უნდებიან. მაშინ როცა ამ საამუშაოს გონივრულად წარმართვისას იგი შეიძლება ორჯერ უფრო მოკლე დროში დამთავრდეს. მაგალითისათვის დავასახელებთ აკვანის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანას, რომელიც უკვე წელიწადია, რაც პროდუქციას იძლევა. იგი 11 წელიწადი შენდებოდა. მიუხედავად ასეთი დიდი დროისა, ქარხანა დღემდე სრული საპროექტო სიმძლავრით მაინც ვერ მუშაობს. ამაში ბრალი მშენებლებთან ერთად დამკვეთს — თბილისის საშენ მასალათა მრეწველობის კომბინატს მიუძღვის.

გულსატკენია, რომ ასეთი მაგალითები ერთეული არ არის.

მშენებლობის სამინისტროში ადგილებიდან ტელეტაიპით მოდის ცნობები, რომ ზოგიერთი სამრეწველო ობიექტის სიმძლავრეთა ამუშავების გეგმები ჩაშლის წინაშეა. დეკემბრის პირველ რიცხვებში მოვიდა ასეთი ცნობა: „ჯამეთის კარიერის მშენებლობის დამთავრება ჭიანურდება ვაგონსაწონი სასწორის უქონლობის გამო, ტრესტს მისი მონტაჟი არ შეუძლია".

კიდევ ერთი ცნობა: „ცაიშის ჩაის ფაბრიკის მშენებლობაზე გვაკლია ტექნოლოგიური საკენტაცილი და ელექტრო დანადგარის 89 ერთეული".

რედაქცია დაინტერესდა ამ ფაქტებით. აღმოჩნდა, რომ მშენებლებმა დროულად ვერ უზრუნველყვეს მრედანი ვაგონსაწონი სასწორის დასამონტაჟებლად. რაც შეეხება თვით სასწორის მონტაჟს, მისი შესრულება უკვე იკისრეს ამიერკავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის სპეციალისტებმა.

დადასტურდა ცნობა ცაიშის ჩაის ფაბრიკის მშენებლობის შემაფერხებელი მიზეზის შესახებ.

წელს მესამე კვარტალში უნდა ამუშავებულიყო ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომლის საწარმოო სიმძლავრე გათვალისწინებული იყო 3 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი წელიწადში. იმის გამო, რომ დამკვეთმა დროულად ვერ უზრუნველყო მშენებლები საჭირო მანქანა-დანადგარებით, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით მას დაეკალა აგვისტოში უზრუნველეყო მშენებლები საჭირო მოწყობილობით იმ ვარაუდით, რომ ფაბრიკა ნაწილობრივ მაინც ამუშავებულიყო.

მიუხედავად ასეთი შეღავათისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ მაინც ვერ შეძლო ამის გაკეთება და ობიექტის ამუშავების გეგმა საფრთხის წინაშე დააყენა. მისივე მიზეზით ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის ტყავის ქარხნის მშენებლობაზეც.

ამასთან დაკავშირებით კვლავ დგება დღის წესრიგში დამკვეთისა და გენერალურ მოიჯარეს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთშეთანხმებული შემოქმედებითი კონტაქტის საკითხი. როგორც ცნობილია, გენერალური მოიჯარის ხელშეკრულება გულისხმობს ზუსტ დაგეგმარებასა და მომარაგებას, რაც სასარგებლოა ორივე მხარისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც. ამაზეა დამოკიდებული როგორც სამუშაოთა ორგანიზაცია, ისე მშენებლობის ეკონომიკაც.

მანკიერად უნდა ჩაითვალოს პრაქტიკაში გამეფებული ურთიერთ ამნისტია. როგორც წესი, დამკვეთნი და მოიჯარენი გარკვეულ დრომდე აპატიებენ ხოლმე ერთმანეთს ვალდებულებათა ხარისხზე.

გულწრფელად რომ ვაღიაროთ, ასეთ ვითარებაში მშენებლები მეტს სცოდავენ. საქმე ის არის, რომ დღემდე ვერა და ვერ მივაღწიეთ, რათა დამკვეთმა მშენებლებს სამუშაოს დაწყების ერთი კვარტალით ადრე გადაურცხოს საჭირო თანხა, დროულად გაუთავისუფლოს სწორად შერჩეული სამშენებლო ადგილი, მიაწოდოს ხარისხიანი და, რაც მთავარია, ზუსტი პროექტი, დროულად მისცეს შეკვეთა საჭირო მანქანა-დანადგარებსა და არასტანდარტულ მასალებზე, განაკუთრებით კი დაიწესოს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა!

თანამედროვე პირობებში, როცა ტექნიკა სწრაფი ტემპით ვითარდება, საწარმოთა ნელი მშენებლობა იწვევს იმას, რომ მოწყობილობა, რომელიც იდგმება, ხშირად ძველდება ტექნიკურად ჯერ კიდევ საექსპლოატაციოდ გადაცემამდე.

კაპიტალური მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობა, რაც დამოკიდებულია საროეკტო გადაწყვეტათა ხარისხზე. ახალ საწარმოთა პროექტებს უველაზე მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს, ეს პროექტები სამამულო და მსოფლიო ტექნიკის მიღწევებს უნდა ითვალისწინებდეს.

ხშირად კი ჩვენი საპროექტო ორგანიზაციები პროექტის შედგენისას სერიოზულ ზედმეტობას და დაუდევრობას იჩენენ. ეგრეთწოდებული „იაფი" პროექტების ავტორობისაკენ ლტოლვას უმრავლეს შემთხვევაში იქამდე მივყავართ, რომ მშენებლობის დროს გვიხდება ასეთი „პრემირებული" პროექტის გადაკეთება, რაც იწვევს მშენებლობის გაძიანურებას, და — უფრო მეტიც — სახელმწიფო სახსრების გადახარჯვას!

საპროექტო სიმძლავრეების ნელი ათვისების მთავარ მიზეზს მარტო ამაში რიდი უნდა ვეძებდეთ. ეს აიხსნება აგრეთვე ახალ საწარმოთა არაკომპლექსური ამუშავებით, მშენებლობისა და მოწყობილობის დაბალი ხარისხით, ექსპლოატაციის მუშაკთა კვალიფიციური კადრების მოუმზადებლობით და ნედლეულის მოწოდებაში შეფერხებებით. საწარმოთა, საპროექტო ორგანიზაციათა, სამინისტროთა და უწყებათა, ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი. უნდა გავაძლიეროთ მიმღები კომისიებისა და შემკვეთების პასუხისმგებლობა საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების ვადაზე ამუშავებისა და მიღებული ობიექტების ხარისხისათვის. ახალ სიმძლავრეთა ამუშავებისა და ათვისების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირეული საკითხია.

სამეურნეო წლის ფინიშში არც თუ ისე შორს არის. დარჩენილ დღეებში ჩვენი სახელოვანი მშენებლების შრომითს თავდადებას, მშენებლობის სწორ ორგანიზაციას შეუძლია კიდევ ბევრი სახიათოვნო შედეგი მოგვიტანოს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებებმა ჩვენს მშრომელებში შემოქმედებითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. ახლა ყოველი ჩვენთაგანის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ერთი მთავარი მიზანი: წარმოების ეფექტიანობის გაზიდვა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს არის კომუნიზმის მშენებლობის ძირეული საკითხი! ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების აუცილებელი პირობა!

კუბელი სტუმრები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 14 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის მინისტრი კარლოს რაფაელ როდრიგესი.

„მედიცინის მუშაკის დღე"

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა დღესასწაული „მედიცინის მუშაკის დღე".

„მედიცინის მუშაკის დღე" ყოველწლიურად აღინიშნება ივნისის მესამე კვირადღეს. (საკდესი).

„ქიმიკოსის დღე"

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა დღესასწაული „ქიმიკოსის დღე".

„ქიმიკოსის დღე" ყოველწლიურად აღინიშნება მაისის უკანასკნელ კვირადღეს. (საკდესი).

მოლაპარაკება კრემლში

14 დეკემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰუარი ბუმედიენის მოლაპარაკება.

ამხანაგური და გულახდილი საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. განიხილეს აგრეთვე ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და სხვა ოფიციალური პირები.

ალჟირის მხრივ ჰუარი ბუმედიენთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რევოლუციური საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელაზიზ ბუტეფლიკა, რევოლუციური საბჭოს წევრები მოჰამედ თაიბი ლარბი, მულაი აბდელკადერი (შაბუ) და აბდალა ბელჰაშეტი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ჰუარი გუმედიენის პატივსაცემად

14 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰუარი ბუმედიენის პატივსაცემად. (საკდესი).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მინდინარე წლის 13 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატის ამხ. იან ნემეციის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან და საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 22-ე წლისთავთან დაკავშირებით. საუბარმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვ. პოპოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების სექტორის გამგე ამხ. ს. ი. კოლესნიკოვი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ი. ა. ჩერკასოვი, აგრეთვე სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ამხ. იოზეფ კაფკა.

ზრომითი პატაკები

სილნაღის რაიონის მშრომელებმა 10 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური გეგმები. გეგმით გათვალისწინებული 18.680 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 18.691 ცენტნერი ხორცი; 45.500 ცენტნერი რძის ნაცვლად 45.633 ცენტნერი რძე. რაიონში გადაჭარბებით შესრულდა მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 11.398 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.270 ჰექტარისა. ამ წარმატებათა შესახებ რედაქციას აცნობებს პარტიის სილნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მაზნიაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. დავითაშვილმა.

ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 7 დეკემბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 4.930 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 5.058 ცენტნერი ხორცი და 17.310 ცენტნერის ნაცვლად 17.386 ცენტნერი რძე. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე სახელმწიფოსათვის კვერცხისა და მატყლის მიყიდვის გეგმები.

ჭაიაკოვსკის რაიონის მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა: ხორცისა — 101 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 104,5 პროცენტით. (საკდესი).

ქაშის რაიონის მშრომელებმა, — აცნობებს რედაქციას საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარაიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ძაბუნიამ, — 25 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 390 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 387 ტონისა, 600 ტონა რძე, ანუ წლიური გეგმის 119,3 პროცენტი, 422 ათასი ცალი კვერცხი, ანუ წლიური გეგმის 102 პროცენტი. ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ხილისა — 167,3 პროცენტით.

ნულუკიძელმა მშრომელებმა 30 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის და სიმინდის მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის, რძის და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია ასი პროცენტით, ხოლო სიმინდისა 124,8 პროცენტით, — აცნობებს რედაქცია საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის მეორე მდივანმა, ო. ადამიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. აბზიანიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. დოლაბერიძემ.

ყაზბეგის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 10 დეკემბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა. რძის მიყიდვის სახელმწიფო დავალება შესრულდა 107 პროცენტით, ხორცისა — 102 პროცენტით, მატყლი მიეყიდა 4.820 ცენტნერი, 800 ცენტნერით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

მოწინავე ფეიქარი

დიდი ქმნია უართოდ ვითარდება საქართველოს ახალგაზრდა ინდუსტრიულ ცენტრში — ქალაქ რუსთავში.

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში უხილავი, ჰაერში გაფანტული მოლეკულები თიოქოს ჯადოქრის ბრძანებით იქცევიან ძაფად, რომ შემდეგ აბრეშუმად, მატყლად, ბეწვეულად იქცნენ.

პირველ ქართველ სინთეტიკოსთა მარჯვე ხელებმა უკვე დაამზადა ათობით მეტრი ძვირფასი პროდუქცია.

სურათზე: საფეიქრო საამქროს საუკეთესო ფეიქარი ქალთამზე ბურასპაშვილი.

ფოტო ნ. სუხიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამცირებენ თვითღირებულებას

ფულუკიძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა ჯერ კიდევ 17 ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა და დღემდე 1966 წლის ანგარიშში 760 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. განვლილ პერიოდში პირველი ხარისხის ნაგრეხი აბრეშუმის ძაფის გამოშვებამ გათვალისწინებული 80 პროცენტის ნაცვლად 95 პროცენტს მიაღწია. აქ წარმატებით ათვისეს ნელოვნური აბრეშუმისა და კაპრონისაგან ორი ახალი „ასორტიმენტის ძაფის წარმოება.

ფაბრიკა რენტაბელურად, მოგებით მუშაობს. ათ თვეში 53 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს და თვითღირებულების შემცირების გზით 15 ათასი მანეთი დაზოგეს.

ფულუკიძელი ფეიქრები იბრძვიან, რომ წლის ბოლომდე 900 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცენ სამშობლოს. 1966 წლის პირველი კვარტალის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით 25 მარტისათვის შეასრულონ და ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას.

ახალი ტექნიკის სიკეთე

ყვარელი, (საკ. კორ.). ყვარლის ეთერზეთების ქარხანაში წელს დაამონტაჟეს კონსტრუქტორ ფალავანდიშვილის „ეან-9" ტიპის უწყვეტი მოქმედების ექვსი ქვაბი. თვითეული დღეში 20 ტონა ნედლეულს ამუშავებს. ძველი ტიპის 24 ქვაბი დღეში მხოლოდ 50 ტონას ამუშავებდა.

ახალი ტექნიკის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქარხნის წარმადობა. 2.237 ტონის ნაცვლად ყვარელელებმა 2.252 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული გადაამუშავეს.

ეძღვნება რუსეთის პირველ რევოლუციას

სამეცნიერო სესია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში

მოსკოვი, 14 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გაიხსნა რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია მოიწვიეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის" კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება — „1905-1907 წლების რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა" გააკეთა აკადემიკოსმა ბ. ნ. პოსპელოვმა.

ომის ვეტერანები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის

ომის ვეტერანთა თბილისის სექციაში გაიმართა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გენერლებმა, ოფიცრებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

თადარიგის გენერალ-მაიორმა დ. შანშაშვილმა აღნიშნა, რომ დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით დასაბეჭდად უნდა მოვამზადოთ სამამულო ომის ვეტერანთა შრომები და მოგონებანი, ნარკვევები და დოკუმენტური მოთხრობები, ფოტოდ უნდა ჩავბადათ ამ საქმეში მწერლები, ჟურნალისტები, ომის მონაწილენი.

კამათში გამოვიდნენ მწერლები კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ა. გომიაშვილი, გენერალ-მაიორი ი. ბაიშმელაშვილი, თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, საბჭოთა კავშირის გმირი თადარიგის გენერალ-მაიორი ე. კობერიძე და სხვები.

დასასრულ გამოვიდა ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა.

თათბირის მონაწილეებმა დაამტკიცეს სარედაქციო საბჭოსა და მთავარი რედაქციის შემადგენლობა. მთავარ რედაქციაში აირჩიეს თადარიგის გენერალ-მაიორი დ. შანშაშვილი (თავმჯდომარე), მწერლები კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ჟურნალისტი ა. კოკილაშვილი და სხვები. (საკდესი).

პრემიები ნოვატორ-ქიმიკოსებს

დამთავრდა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა პროპაგანდისა და ქიმიურ მრეწველობაში დანერგვის სრულიად საკავშირო ესტაფეტი, რომელმაც 26 თვეს გასტანა. ესტაფეტში მონაწილეობდა ფოსფატიანი და აზოტიანი სასუქების 59 საწარმოსა და ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს 22 საწარმოს კოლექტივი.

ესტაფეტი ტექნიკის ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების გაზიარების ეფექტიანი ფორმა იყო.

ქიმიური მრეწველობის ბევრ საწარმოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლენი, რომლებიც შეიტანეს ვოსკრესენსკისა და ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატების, ნევსკის ქიმიური ქარხნის, დნეპროძერჟინსკისა და ბერეზნიკოვის აზოტიანი სასუქების ქარხნების, კრასნოიარსკისა და ჩერნიგოვის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნების ბრიგადებმა. ბრიგადების გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ესტაფეტში გამარჯვებულთ მიანიჭა პრემიები. პირველი პრემიით 1000 მანეთის ოდენობით დაჯილდოვდნენ ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატისა და კრასნოიარსკის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის ნოვატორთა კოლექტივები. მეორე და მესამე პრემიები მიენიჭათ დნეპროძერჟინსკის აზოტიანი სასუქების ქარხნის, კალინინის კომბინატის, ჩერნორეჩენსკის ქიმიური ქარხნის, ბერეზნიკოვის აზოტიანი სასუქების ქარხნის და სხვა საწარმოთა მუშაკებს. (საკდესის კორ.).

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილება

განვავითაროთ შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მიიღო.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმის განხორციელება, ხაზგასმით აღნიშნულია დადგენილებაში, მოითხოვს პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან განავითარონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს ფართოდ განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმით.

საკავშირო პროფსაბჭომ მოუწოდა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1966 წლის — ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ დიდ ვალდებულებათა შესრულებისათვის, (საკდესი).

კონფერენციაზე ინდოეთში

დელი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის აფრიკა-აზიის სოლიდარობის ასოციაციის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ზ. გულისამელი და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ე. პ. ჩელიშევი.

საბჭოთა დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ აფრიკა-აზიის სოლიდარობის ასოციაციის სრულიად ინდოეთის კონფერენციაში, რომელიც ქალაქ კანპურში გაიმართება 17-დან 19 დეკემბრამდე.

მოგუგუს განცხადება

ლონდონი. ყოფილი პრეზიდენტი კასავუბუ და ყოფილი პრემიერი ჩომბე 5 წელი მაინც ვერ დაუბრუნდებიან ხელისუფლებას, განაცხადა ლეოპოლდვილის კონგოს ახლანდელმა პრეზიდენტმა ჟოზეფ მობუტუმ. როგორც რეიტერის საგაზეთო იუწყება, მობუტუმ თქვა, რომ კასავუბუსა და ჩომბეს პირადა უთანხმოებამ კონგო უფსკრულს პირამდე მიიყვანა, ამასთან დაკავშირებით კასავუბუ და ჩომბე პოლიტიკაში ვერ ჩაერევიან უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. კონგოს არმიის ყოფილმა მთავარსარდალმა შემდეგ განაცხადა, რომ მის მთავრობას განზრახული აქვს კონგო მართოს სამხედრო ტრადიციებზე დაფუძნებული დისციპლინის შესაბამისად. ჩვენ, თქვა მობუტუმ, ვაიძულებთ მინისტრებს დაგვემორჩილონ. ვინც არ დაგვემორჩილება, განვდევნით. (საკდესი).

გაიხსნა ნატოს სესია

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ღილით აქ გაიხსნა ნატოს საბჭოს მორიგი სესია. სესიაში მონაწილეობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის 15 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრები. ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო პრობლემები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, ვიეტნამის მდგომარეობა, საკითხი, რომ დასავლეთ გერმანიას ამა თუ იმ სახით მიეცეს ატომური იარაღი — ასეთია, ადგილობრივ პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ძირითადი თემები, რომლებზეც ატლანტიკელი პარტნიორები ამასთანავე განსაკუთრებით მწვავე საკითხებს განიხილავენ მინისტრების უამრავ შეხვედრებზე, რომლებიც ოფიციალური სხდომების პარალელურად მიმდინარეობს. ნატოს სესია 16 დეკემბამდე გაგრძელდება.

ოლიმპიადა



ჩვენს ოლიმპიადაში

ცხოვრებით შემოწმებული ხაზი

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირის ხუთი წლისთავის გამო

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს კომუნისტები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს—მოსკოვის 1960 წლის თათბირის მეხუთე წლისთავს.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა. მათ გააანალიზეს საერთაშორისო ვითარება და ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე, განაზოგადეს საერთაშორისო მუშათა და გამამთავისუფლებელი მოძრაობის ახალი გამოცდილება, განსაზღვრეს თავიანთი საქმიანობისა და ბრძოლის აქტუალური ამოცანები.

თათბირის მონაწილეებმა განაგრძეს მუშაობა, რომელიც კომპარტიების 1957 წლის თათბირმა დაიწყო. ფართო და თავისუფალი განხილვის შედეგად, როცა გათვალისწინებული იყო ყველა პარტიის თვალსაზრისი, ამ თათბირებმა შეიმუშავეს კომუნისტური მოძრაობის ახლანდელი გენერალური ხაზი. ეს იყო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის შესანიშნავი გამარჯვება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იმ პრინციპების გამარჯვება, რომლებიც აერთიანებს ყველა მოძმე პარტიას.

განვლილ ხუთ წელიწადში მთელი რევოლუციური მოძრაობისა და თითოეული მისი ხაზის რაზმის მიერ შეძენილი გამოცდილება მთელი დამაჯერებლობით დასტურებს მიღებული პოლიტიკური კურსის სისწორეს. მის საფუძველზე მიღწეულია დიდი წარმატებები სოციალიზმისათვის, ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მსოფლიო განვითარება მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რომელიც განჭვრიტეს მარქსისტ-ლენინელებმა. ყოველ დღეს მოაქვს იმის დადასტურება, რომ მოსკოვის თათბირის მიერ მოცემული თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიმართულებათა ანალიზი, სტრატეგიული და ტაქტიკური გეზი სწორი და ქმედითია. ჩვენი პარტია, ისევე როგორც მოძმე პარტიების უდიდესი უმრავლესობა, მტკიცედ უჭერს მხარს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახლანდელ გენერალურ ხაზს, რომელიც გამოხატულია დეკლარაციასა და განცხადებაში. ეს ერთადერთი სწორი გზაა ახალ გამარჯვებათა მისაღწევად იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

* * *

81 პარტიის თათბირის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან შემოქმედებითად გამოიყენა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპები თანამედროვე ეპოქის თავისებურებებისადმი, ღრმად გამოავლინა საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ტენდენციები, მეცნიერულად დაასაბუთა ჩვენი დროის რევოლუციური მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა.

„ჩვენი ეპოქა, — ნათქვამია განცხადებაში, — რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა, რაც დაიწყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა“.

თათბირმა ცხადყო, რომ ისტორიული განვითარების წამყვანი ტენდენციაა მსოფლიო სოციალისტური სისტემის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და მუშათა მოძრაობის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის ზრდა. ამავე დროს მან გაგვაფრთხილა, რომ ჯერჯერობით გავითვალისწინოთ საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის ძალები. იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება არ შეცვლილა. იმპერიალიზმი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს თავისი ბატონობა და მზად არის უკიდურესი ღონისძიებანი განახორციელოს სოციალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განვლილი ხუთწლეულის მოვლენებმა დაადასტურეს სისწორე მსოფლიო ასპარეზზე ძირითადი კლასობრივი ძალების თანაფარდობის საერთო შეფასებისა, რომელიც თათბირმა მოგვცა. სოციალისტური ქვეყნები, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ ისტორიულ შეტევაზე იმყოფებიან. ისინი სულ უფრო გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტმა, უწინარეს ყოვლისა მსოფლიო რეაქციის მთავარმა დასაყრდენმა — ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტმა, ამ ბოლო დროს გააქტიურა თავისი აგრესიული მოქმედება, მას არ ძალუძს შეაჩეროს ისტორიის განუწყვეტელი განვითარება.

სოციალური პროგრესის მთავარი ძალა, ანტაგონისტური ფორმების ძირითადი დასაყრდენი, როგორც 1960 წლის თათბირმა განსაზღვრა, სოციალიზმის მსოფლიო სისტემაა. კომუნიზმის შენებლობა სსრ კავშირში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში მსოფლიო რევოლუციური პროცესის უანშესანიშნავესი შემადგენელი ნაწილია.

მოსკოვის თათბირი ითვალისწინებდა ლენინურ მითითებას, რომ საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა განუყრელად დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად წარმატებით წყვეტენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების აგების ამოცანებს პარტიები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ.

თათბირის შემდეგ განვლილ წლებში გრძელდებოდა მსოფლიო სოციალიზმის ძალებისა და ძლიერების ზრდა. საბჭოთა კავშირმა არსებითად ჩაიწია წინ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. მთელი რიგი სხვა სოციალისტური ქვეყნები ამთავრებენ სოციალიზმის აშენებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა მათი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, გაიზარდა გავლენა მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე.

სოციალისტური სისტემის ძლიერების განმტკიცებაში დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხს. ხანა წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ჩვენი პარტიის ლენინური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წელი) და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელება უზარმაზარ ნაბიჯია ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. ეროვნული ბაზრების ფორმირებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. ეროვნული ბაზრების ფორმირებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე. ეროვნული ბაზრების ფორმირებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანა

ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე

ეროვნული ბაზრების ფორმირებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე.

ცხოვრებით შემოწმებული ხაზი

(დასასრული)

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში, და ამან შეაგულიანა იმპერიალისტები ავანტიურებისათვის. უკანასკნელი ამბებიდან უნდა გამოვიტანოთ საჭირო გაკვეთილები. ის, ვინც დღეს ხელს უშლის კომუნისტური რიგების, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების განმტკიცებას, კისრულობს უმძიმეს პასუხისმგებლობას მეშვიდე კლასის, ხალხთა მასების წინაშე, წყალს არ უშვებს იმპერიალიზმის წისქვილზე.

მთელი ამ წლების მანძილზე ჩვენი პარტია, ისე როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიების უდიდესი უმრავლესობა, მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სიძნელეთა თანდათანობით დაძლევის ხაზს. ისე რომ არ გაუმახვილებია ყურადღება იდეოლოგიურ უთანხმოებებზე, მოძმე პარტიებმა საჭიროდ ცნეს სიძლიერის ცენტრი გადაეტანათ მოქმედების პრაქტიკული ერთობის მიღწევაზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ხალხთა დაცვისათვის ბრძოლაში, რომლებმაც აგრესია განიცადეს.

ჩინეთისაგან არსებულ სიძნელეთა გადაჭრისადმი მიდგომაში იმით გამოიხატება, რომ დავეყრდნოთ იმას, რაც აერთიანებს ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, მიუხედავად უთანხმოებებისა, და მივანდოთ დროს, რომ ამა თუ იმ პარტიამ საკუთარი გამოცდილებით დაადწიოს თავი მცდარ შეხედულებებსა და პოზიციებს. სწორედ ასეთ მიდგომას გვაჩვენებს ლენინი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „უთანხმოებებს პოლიტიკურ პარტიათა შიგნით და პოლიტიკურ პარტიებს შორის ჩვეულებრივ გადაჭრის არა მარტო პრინციპული პოლემიკა, არამედ იგივეთვე თვით პოლიტიკური ცხოვრების განვითარება...“ (თხზ. ტ. 11. გვ. 133. მეოთხე რუსული გამოცემა).

როგორც ცნობილია, ეს იდეები განავითარეს იმ საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებმა, რომელიც 1965 წლის 1-5 მარტს გაიმართა მოსკოვში. კომუნიკეში ამ შეხვედრის შესახებ გამოთქმული იყო წრმენა, რომ ისეთი უთანხმოებების დროსაც კი, რომლებიც შეეხება პოლიტიკურ ხაზს, თეორიისა და ტაქტიკის ბევრ დიდმნიშვნელოვან პრობლემას, საკმაოდ შესაძლებელი და საჭიროა ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მოქმედების ერთიანობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერის საქმეში, საყოველთაო მშვიდობისათვის, მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისა და ისტორიული მიზნებისათვის ბრძოლაში. ერთად მოქმედება ამ საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში, ხაზს უსვამდნენ შეხვედრის მონაწილენი, — ყველაზე საიმედო გზაა არსებულ უთანხმოებათა აღმოფხვრისათვის. ცნობილია, რომ 60-ზე მეტმა მოძმე პარტიამ მიიწვია მოსკოვის საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები.

ასეთი მიდგომის სრული შესაბამისობით ჩვენმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ გადადგა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის. მარტო ამ უკანასკნელ წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრები 60-ზე მეტი მოძმე პარტიის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების დროს განხილულ იქნა თანამედროვე მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთად მოქმედების გზები და მეთოდები.

ამ პერიოდში გაიმართა კომპარტიათა წარმომადგენლების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრები, რომლებმაც ხელი შეუწყეს მათი ერთად მოქმედების ორგანიზაციას. ეს იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტური პარტიების ბრიუსელის თათბირი, ლათინური ამერიკის პარტიების შეხვედრა ჰავანაში, ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა კომუნისტური პარტიების თათბირი, არაბული ქვეყნების კომუნისტური პარტიების შეხვედრა. ამ თათბირების მსვლელობაში მომძე პარტიებმა გააანალიზეს ვითარება ქვეყნების შესაბამის ჯგუფებში, ერთმანეთს გაუზიარეს ბრძოლის გამოცდილება, შეთანხმდნენ თავიანთი მოქმედების კოორდინაციის შესახებ.

ამრიგად, ცხოვრებამ დაადასტურა სისწორე მოქმედების ერთიანობის ხაზისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ და სხვა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა შეიმუშავეს. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ახლანდელ რთულ ვითარებაში მივაღწიოთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე დამოკიდებული იყო, რათა უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომპარტიის, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია.

სამწუხაროდ, — და ეს გულახდილად უნდა ითქვას, — ჩინეთის ხელმძღვანელებმა არ გაუწიეს ანგარიში მარქსისტულ-ლენინური პარტიების აზრს და უარყვეს ყველა ინიციატივა, რომლის მიზანი იყო გაგვეხორციელებინა მოქმედების ერთიანობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვითარების ნორმალიზაცია მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში. საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ არა თუ არ მოისურვა შეეთანხმებინა თავისი მოქმედება სხვა პარტიებთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ კიდევაც გააძლიერა თავისი საქმიანობა კომუნისტური მოძრაობის, მთელი რევოლუციური ძალების გათიშვისათვის.

ახლანდელ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა სოციალისტური ქვეყნის, ყველა მოძმე პარტიის სოლიდარულ მოქმედებას ვიეტნამელი ხალხისათვის დახმარების გასაწევად ამერიკის შეერთებული შტატების ყაჩაღური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას ვიეტნამელ ხალხს ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში უწევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირი. მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მას სხვა სოციალისტური ქვეყნები და მარქსისტულ-ლენინური პარტიები. არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ღონისძიებათა კოორდინაცია ამ საკითხში. არაფერი არ შეიძლება გავამართლოთ, რომ უარს ამბობენ თანამშრომლობაზე, ერთიან მოქმედებაზე მოძმე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, მთელი ვიეტნამელი ხალხისადმი, დახმარების წმიდათა წმიდა საქმეში.

მიუხედავად ახლანდელი სერიოზული სიძნელეებისა, ჩვენი პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ საკირო საერთო ძალღონით, დეკლარაციისა და განცხადების გენერალური ხაზის საფუძველზე ვიბრძოლოთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისათვის. ამას მოითხოვს სოციალიზმის საქმისათვის, ეროვნული თავისუფლების, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის ინტერესები. ამას მოითხოვს ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, რომელიც საროზულ საფრთხეს უქადის მთელ მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მშვიდობის საქმეს.

მოქმედების ერთიანობაზე უარის თქმა, პოლიტიკური და ორგანიზაციული გამიჯვნის მოთხოვნა, კომუნისტურ მოძრაობაში ფრაქციული საქმიანობის განგრძობა, მოძმე პარტიების წინააღმდეგ აშკარა პოლემიკისა და პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება—ყოველივე ეს არ შეიძლება არ დაგმის ყველა მარქსისტ-ლენინელმა, არ შეიძლება არ გამოიწვიოს მათი პროტესტი. როცა იერიში მიაქვთ თითოეული ეროვნული რევოლუციონერისათვის წმიდათა წმიდა საქმეზე — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობაზე, მარქსისტ-ლენინელებმა არ შეიძლება არ დაიკავონ მტკიცე, პრინციპული პოზიცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო, არის და იქნება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის ერთგული. მას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია, რომ ყველაკე მოიპოვოს ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის პროგრამის, ყრილობებისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. შეასრულებს რა დიდი ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტია კვლავ გადაჭრით იბრძოლებს ყველა ქვეყნის კომუნისტთა რიგების ერთობისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, დეკლარაციისა და განცხადების პრინციპების საფუძველზე, მთელი რევოლუციური ძალების შემდგომი წინსვლისათვის, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის საბოლოო გამარჯვების ინტერესებისათვის.

„პრავდა“ 12 დეკემბერი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

სურათზე: ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“.

№ 1 შახტი. აქ მიტინგზე შეიკრიბა ოთხასზე მეტი კაცი.

სიტყვას ამობს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ნ. ნიკულინი.

— ჩვენ ვგმობთ ამერიკელ აგრესორებს, რომლებიც დანაშაულს სჩადიან ვიეტნამში, — თქვა მან. ჩვენს ხმას ვუერთებთ დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის ხმას, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ამერიკამ ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დბომბვა.

გვირაბგამყვანმა ვ. უსანოვმა, სამთო ოსტატმა ა. ცავამ, პროფკავშირის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. პლაკუნმა, ზეინკალმა ვ. ცვიტბამ მოითხოვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ტყვარჩელელი მაღაროელები მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელი ხალხის მამაცურ ბრძოლას.

ᲖᲣᲠᲘ. ქალაქ ბორის მშრომელები გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა კაცთმოძულეობის პოლიტიკას. ამ დღეებში ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი გაიმართა გორის ბამბეულის კომბინატში.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ბუსტელაშვილმა მიტინგზე გამოსულთას განაცხადა:

— ჩვენ, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, აღშფოთებული ვართ ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა ბინძური ომით. აღარ შეგვიძლია ვითმენოთ, რომ პენტაგონელი არამზადების ანგარებითი ინტერესებისათვის ყოველდღიურად ათობით და ასობით ადამიანი იღუპებოდეს. მთელი ჩვენი სიმპათია, თანაგრძნობა ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა აგრეთვე საკონსერვო ქარხანაში. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ თავიისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ᲡᲘᲦᲐᲚᲔ. „ბოლო უნდა მოეღოს ბინძურ ომს ვიეტნამში“! ეს სიტყვები გაისმის მიტინგებზე, რომლებიც ამ დღეებში იმართება რაიონის კოლმეურნეობებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკელთა აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

— ამერიკელი იმპერიალისტები ურცხვად თელავენ ფეხქვეშ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის ღირსებას, — თქვა მიტინგზე სოფელ მაღაროს კოლმეურნემ ა. ვარსიაშვილმა. — იცოდნენ ვაი-მეომრებმა, რომ ვერავითარი ბოროტმოქმედებით, ვერავითარი იარაღით ვერ გატეხენ ის ხალხის ნებისყოფას, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი ვიეტნამელ ხალხს ემხრობა. პროტესტის ხმას ვუერთებთ ყველა იმათ ხმას, ვინც მოითხოვს, რომ შეწყდეს სიხლსისმღვრელი ომი ვიეტნამის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე. (სკკმესი).

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲛᲘᲘᲦᲝ Ა. ᲜᲝᲕᲝᲢᲜᲘᲗ

პრაღა, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მეგობრული საუბარი შეეხებოდა ზოგიერთ თანამედროვე საერთაშორისო საკითხს და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

◆

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ

პრაღა, 13 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს სასახლეთან და შინაგანი დაცვის ჯარები 1966 წლის 1 იანვრიდან დაექვემდებარებიან ეროვნული თავდაცვის სამინისტროს.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ ღონისძიების შედეგად შეექმნება ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების ყველა შემადგენელი ნაწილის ერთიანი სარდლობა.

◆

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ

დელი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ცერემონია — ბოკაროს სახელმწიფო მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური პროექტის გადაცემა ინდოეთის მთავრობის განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტი მოამზადეს საბჭოთა სპეციალისტებმა ინდოელ ინჟინერთა მოხალისეობით თანახმად სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობათა ამა წლის 25 იანვრის შეთანხმებისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ტექნიკურ და ეკონომიურ დახმარებას გაუწევს ინდოეთს ამ ქარხნის აგებაში. ეს იქნება ამ სახელმწიფო მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ინდოეთში შეხდება საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარით. ინდოეთის ამ უდიდესი ქარხნის სიმძლავრე შეადგენს ოთხ მილიონ ტონა ფოლადს წელიწადში.

საბჭოთა მთავრობის სახელით ქარხნის ტექნიკური პროექტი ფოლადისა და წიაღთა მინისტრს სანჯივა რედის გადასცა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა.

◆

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲔᲡᲚᲐᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲑᲡᲝᲜᲘ

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გარდაცვალა პოლ რობსონის მეუღლე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი ესლანდა რობსონი, რომელიც 68 წლისა იყო.

ᲡᲣᲙᲐᲠᲜᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲚᲔᲑᲐ

◊ **დამთავრდა** ინდონეზიის ეროვნული ფრონტის გაერთიანებული სამდივნოს კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებს მიმართა პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელმაც დაგმო ინდონეზიის ის წრეები, რომლებიც ცდილობენ გააკეთონ ანტიკომუნისტური ისტერია ამ ქვეყანაში.

პრეზიდენტმა გაიმეორა, რომ ინდონეზიაში დღეისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ეროვნული ერთობის პირობებში შეეძლებთ გაწევახოცილიერთ სახალხო მასების ფართო იდეალები. ამიტომ, თუ ინდონეზიის ეროვნული ფრონტი მონაწილეობას მიიღებს ამ ერთობის ჩაფუძვაში, მას დავშლი“.

პარიზი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ ინდონეზიის ხალხს მოუწოდა გაერთიანდნენ და შეინარჩუნონ ერთობა, რათა უზრუნველყონ ინდონეზიის უშიშრობა. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს.

სუკარნო გამოვიდა პროვინციების გუბერნატორთა თათბირზე „ნეგარის“ სასახლეში და განაცხადა, რომ ხალხმა კვლავაც ყოველი ღონე უნდა იხმაროს სიფხიზლისა და ერთობის შენარჩუნებისათვის. მან აღნიშნა, რომ ერთობა ყველაზე უმთავრესი მოთხოვნაა ახლანდელ პირობებში, რომლის მიზანია უზრუნველყოს ამ ქვეყნის მომავალი არსებობა.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). კვირას საღამოს პრეზიდენტი სუკარნო გამოვიდა კრებაზე ინდონეზიის საინფორმაციო სააგენტოს ანტარას 28-ე. წლისთავის გამო და კვლავ გაიმეორა ამის წინააღმდეგ, რომ ინდონეზიის პრესის ზოგიერთი ორგანო ამახინჯებს ამ ქვეყანაში მომხდარ ამბებს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი იუწყება, სუკარნომ განაცხადა, რომ ყალბმა და ცილისმწამებლურმა ცნობებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ინდონეზიაში გაჩაღდეს ძმათაშორისი ბრძოლა, რომელიც ძირს გამოუთხრის ინდონეზიის რევოლუციას.

◆

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). სამხრეთ სუმატრის რაიონის სამხედრო სარდალმა ბრიგადის გენერალმა მაკმუნ მურადმა გუშინ აკრძალა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი განყოფილების საქმიანობა. ამას იტყობინება ჯაკარტიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. ეს უკვე მე-6 რაიონია, სადაც აკრძალულია კომპარტიის საქმიანობა.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ

ბერლინი. კარლ მარქსის ორდენით გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარეს ვალტერ ულბრიხტს 70 წლის საიუბილეოდ. ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა ლიტერატურული შემოქმედებისათვის. (საკდესი).

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲰᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

თეირანი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ირანის პრესამ გამოაქვეყნა ირანის შაჰის მოსამზადებელ რეზიუგეის ინტერვიუ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტისადმი, რომელშიც შაჰმა განაცხადა, რომ ირანი ახორციელებს დამოუკიდებელ პოლიტიკას და ამასთან „არ ეყრდნობა უცხოეთის არცერთ სახელმწიფოს“. მოსამზადებელ რეზიუგეეთ ქარხანა. მაგრამ არავის არ მივცემთ უფლებას თქვას, რა არის ჩვენთვის კარგი და რა არის ცუდი“.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ

ტოკიო, 14 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა დღეანდელ სხდომაზე დაამტკიცა კანონი სამხრეთ კორეასთან ურთიერთობის „ნორმალიზაციის“ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და შესაბამისი შეთანხმებანი. კანონი ამას წინათ მოიწონეს მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა პარლამენტში.

იაპონიის მთავრობის თხოვნით სამხრეთ კორეის ელჩისუფალნი, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო, დათანხმდნენ გადაამტანონ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის ვადა 18 დეკემბრისათვის (სარატიფიკაციო სიგელები უნდა გაეცვალათ 21 დეკემბერს).

იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობის ასეთ დაჩქარებას აქ ამით ხსნიან, რომ იაპონიის მთავრობა შიშობს, კიდევ უფრო არ გაძლიერდეს იაპონიაში საპორტესტო მოძრაობა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

სამხრეთ კორეასთან ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ ილაშქრებენ იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო წრეები სოციალისტური და კომუნისტური პარტიების, იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მეთაურობით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡᲐ

კაირო, 14 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი მთავრობის პროგრამის გამო, რომელიც წარმოადგინა პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ ალი ალ-ალამმა. კამათი დაიწყო ეროვნული კრების სპეციალური კომიტეტის მოხსენების წაკითხვით, რომელიც განიხილავდა მთავრობის პროგრამას. კომიტეტი სავსებით უჭერს მხარს მთავრობის საგარეო პოლიტიკას იმ სახით, როგორითაც დასახულია მთავრობის პროგრამაში.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ეროვნული კრება სავსებით იწონებს „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის პრინციპულ პოლიტიკას სამხრეთ როდეზიაში აფრიკელი უმრავლესობის უფლებათა მხარდაჭერის საქმეში“.

კომისიის მოხსენება მიესალმება „მთავრობის გადაწყვეტილებას განამტკიცოს აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობა“ და „ყველაფერი იღონოს მთელი მსოფლიოს თავისუფლების ძალთა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში“. ეროვნული კრება მოესალმება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას. „ეროვნული კრება გულთბილად მიესალმება, — ნათქვამია მოხსენებაში, — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ეროვნული ამ ქვეყნის მომავალი ბედი.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების ერთ-ერთ სხდომაზე ერაყელ დეპუტატ ალ-ალუსი ბრალს სდებს ეგვიპტეს, ამბობს, ეგვიპტეს ჯარებმა ერაყში ბაქტერიული ომი ჩაატარეს. ალ-ალუსი ამბობს, ეგვიპტეს ჯარებმა ერაყში ბაქტერიული ომი ჩაატარეს. ალ-ალუსი ამბობს, ეგვიპტეს ჯარებმა ერაყში ბაქტერიული ომი ჩაატარეს.

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲛᲐᲰᲐᲛᲔᲓ ᲐᲘᲣᲑ-ᲮᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტი მოჰამედ აიუბ-ხანი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება შეერთებულ შტატებში, დღეს გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. პრეზიდენტმა თავის სიტყვაში გაამჟღავნა პაკისტანის ცნობილი პოზიცია ქაშმირის საკითხში. მან მოუწოდა ინდოეთს დათანხმდეს ქაშმირში პლებისციტის მოწყობაზე, რაც გამოირკვევს ამ ტერიტორიის ბედი.

აიუბ-ხანის სიტყვის დამთავრების შემდეგ გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი პარტპასარატპი. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პაკისტანის პრეზიდენტი შეეხო ინდოეთ-პაკისტანის სადავო პრობლემებს, ჯამუ და ქაშმირი, თქვა პარტპასარატპიმ, ინდოეთის განუყოფელი ნაწილია.

ინდოეთის წარმომადგენელი შეეხო პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ-ხანისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შასტრის მომავალ შეხვედრას ტაშკენტში და გამოთქვა აზრი, რომ პაკისტანის პრეზიდენტის სიტყვა არ უწყობს ხელს ნაყოფიერი მოლაპარაკების ატმოსფეროს შექმნას.

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲣᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ

დელი, 13 დეკემბერი. (საკდესი). **პრეს ტრასტოფ ინდიას სააგენტოს ცნობით ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე არსებული მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ 10 დეკემბერს პაკისტანის ჯარებმა ექვსჯერ დაუშინეს ცეცხლი ინდოეთის ჯარებს ბპასინის, დორგაის, ბარკის, მამდოტისა და ჩანნავლის (ლაჰორის სექტორი) რაიონებში.**

სროლის დროს ბარკის რაიონში მოკლულია ორი პაკისტანელი ჯარისკაცი. სიალკოტის სექტორის მთელ რიგ პუნქტებში პაკისტანელები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს. 10 დეკემბერს პაკისტანის ჯარებმა ტყვიამფრქვევის სროლა ატეხეს ჯაურიანისა და კალიდჰარის (ჯამუ და ქაშმირი) რაიონებში. პაკისტანის ჯარები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ ავრეთვე პუნჩის ჭანგარისა და აკნურის სექტორებში.

უარაზი, 13 დეკემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად იუწყებიან, **რომ 11 დეკემბერს ინდოეთის ჯარები ცეცხლს უშენდნენ რაიონს რანგუპურის სექტორში (აღმოსავლეთი პაკისტანი). პაკისტანის ქვეგანყოფილებმა საპასუხო სროლა აუტეხეს. სროლის დროს მოკლულია ორი ინდოელი ჯარისკაცი. სროლა იყო ავრეთვე ჭესორის რაიონში.**

ინდოეთის ჯარები ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ პაკისტანის პოზიციებს ნიკიალისა და კუარატის (ქაშმირი) სექტორებში.

12 დეკემბერს ინდოელებმა, ნათქვამია ცნობაში, კვლავ ატეხეს სროლა ვაგამის, ბარკის, კჰემ კარამისა და ფაზილის სექტორებში. სროლის დროს დაიხოცა ოთხი ინდოელი ჯარისკაცი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 14 დეკემბერი. (საკდესი). ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲮᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲚ

ერქბეტ ჰაზის გასტროლები

კომპოზიტორთა განვიზვითად თუ ვინმე შეძლებდა ისეთი მომხიბლავი მელოდიურობითა და სილრმით გადმოეცა ბარიზის ლათინური კვარტალის მცხოვრებთა ყოველდღიური ცხოვრების პოეზია, როგორითაც ის პუჩინის მოცემული აქვს ოპერა „ბოემაში“. ერქბეტ ჰაზის — ჩვენთვის ახალმა მიმმ, ნაწარმოების ძირითადმა გმირმა, თავისი ერთადერთი გამოსვლით ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მოხიბლა თბილისელი მაყურებელი. ბუდაპეშტის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებისა და პრემიების ლაურეატს ერქბეტ ჰაზის თავისი ხელოვნებით მოუჯადოებია მსოფლიოს ბევრი ქვეყანა.

მომღერალს აქვს ძლიერი, ლამაზი ლირიკულ-დრამატული სოპრანო, ინტერპრეტაციის იშვიათი სითბოთი და გულშიჩამწვდომობით გადმოგვცემს იმ გმირი ქალის სულიერ სამყაროსა და ფსიქოლოგიას, რომლის როლსაც ასრულებს. ახალგაზრდა, ქალურად ნაზ, მომხიბლავ და უბრალო მომის — ერქბეტ ჰაზის გულწრფელად უყვარს რუდოლფი. მუსიკალურად, ჩინებული ფრაზირებით ასრულებს მსახიობი „მომის ნაამბობს“. მომღერლის ხმა თავისუფლად ქედის მთელი დიაპაზონის მანძილზე. პირველი სიყვარულის ბედნიერებით გამთბარია მომის პირველი აქტის დასკვნითი duetი რუდოლფთან. განსაკუთრებით კაოგად ასრულებს მომღერალი ყველა რთულ ანსამბლს შობის წინადღის მხიარულ დღესასწაულზე. მკაფიოდ, თავისი ინტერპრეტაციით, ასახავს ე. ჰაზი მომის შემდგომ ბედს, როცა სიყვარულის პირველ მისწრაფებებს ავადმყოფობა და სიკვდილი მოჰყვება.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ინდოეთის ოკეანისაკენ...

როგორც ცნობილია, საოკეანო თევზჭერის რესპუბლიკური სამმართველოს ორი ტრაულერი „ფოთი“ და „კოლხიდა“ რეწვას აწარმოებენ ინდოეთის ოკეანეში, ხოლო „ზოთა რუსთაველი“ რეიისის შემდეგ მშობლიურ ნავსადგურში დგას.

ოკეანეში მყოფი ტრაულერებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად ფოთიდან ინდოეთის ოკეანისაკენ კურსი აიღეს რეფრიჟერატორებმა „ალაზანმა“, „არაგვმა“ და ტანკერმა „ენგურმა“. ამ სამეულის საფლაგმანო კაპიტანია ტრაულერ „ზოთა რუსთაველის“ კაპიტან-დირექტორი პეტრე აბრამია.

„ალაზანს“ და „არაგვს“ მიაქვთ კვების პროდუქტები, მინერალური წყლები, ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, მებადურთა ოჯახების საჩუქრები და წერილები.

კ. კოპახიძე.

ეროვნული ბანკი

ბოლო დროს ... ეროვნული ბანკი ... ეროვნული ... ეროვნულ სოფლებში. შესაბამისად გაიზარდა მაყურებელთა რიცხვიც. ეს უთუოდ რაიაღმასკომის კინოფიკაციის განყოფილების მუშაკთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რისთვისაც მათ დაიმსახურეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურა-განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

აკ. კერესელიძე.

□ **მახარაძე.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ძვირფასი საჩუქარი მიიღეს სოფლების ცხემლისხიდის, ბაღდადის, ვაკიჯვრის, ფამფალეთის კოლმეურნეობების მშრომელებმა — მდინარე ნატანებზე გაიხსნა ხიდი.

□ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). სამოცი წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს კალისტა ბარათაშვილს. ორმოცდასამი წელია ასწავლის იგი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. უმწიკლო მუშაობისათვის კ. ბარათაშვილი დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით.

ამ დღეებში კულტურის სახლში ზესტაფონის სახოგადოებრიობამ საზეიმოდ აღნიშნა კ. ბარათაშვილის დაბადების 60 წლისთავი.

გაზაფხული დეკემბერში

სწორი არ იქნებოდა იმისი მტკიცება, რომ წლის დრო ზუსტად შეესაბამება კალენდრის თარიღებს. თუ წლევანდელი ზაფხული საქართველოში არ გვანებივრებდა სიცხით, სამაგიეროდ დეკემბერი გვიანაზღაურებს ზაფხულის ჭირვეულობასა და ოქტომბრის სიცივეებსაც. 13 დეკემბერს, მაგალითად, თბილისში ვერცხლისწყლის სვეტი აჩვენებდა პლუს 21 გრადუსს. სინოპტიკოსები ამბობენ, რომ დეკემბერში ასეთივე სითბო იყო 25 წლის წინათ. ასეთ მზიან ამინდში უპალტოოდ სიარულიც შეიძლება.

კიდევ უფრო თბილა საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე, სოხუმში თერმომეტრი აღნიშნავს პლუს 22 გრადუსს. ათასფრად ეოვარებს სუბტროპიკული ზონა.

მაგრამ ყველაზე მეტად ამ დღეებში ბათუმში თბილა, სადაც 13 დეკემბერს პლუს 25 გრადუსი იყო, ზღვის წყალი 15 გრადუსამდე გათბა. ცურვის მოტრფიალეებმა განახლეს ბანაობის სეზონი.

მხურვალე მზეზე აყვავებულა ვარდები, ქრიზანთემები, კამელიები. ადრე გაიკვირტა მიმოზა, ზღმარტლი, ტყემალი. სიუხვის კალთა დაუბერტყია ბარაქიან შემოდგომას ბათუმის ბაზრებზე. კვლავ კრეფენ ციტრუსებს, რომლებშიც აჭარამ წელს ერთიორად მეტი მოიწია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული საზაფხულოდ გამოწყობილი დამსვენებლები სეირნობენ ბათუმის ბაღებსა და პარკებში. ახლა აჭარის დასასვენებელ კერებში თითქმის 2.500 კაცი ისვენებს და მკურნალობს.

საქართველოსთვისაც კი ესოდენ უჩვეულო დეკემბერი აისნება ხმელთაშუაზღვიდან პაერის თბილი მასების მოზღვავებით, უთხრეს საქდესის კორესპონდენტს თბილისის ამინდის ბიუროში, მაგრამ მალე ტემპერატურა დაიწევს. დასავლეთიდან მოდის ცივი ციკლონი. (საქდესი).

ქაუნასის ტურის ფინიში

ამ დღეებში ნოვოსიბირსკში დამთავრდა „ა“ კლასის კალათბურთელ ქალთა ექვსი უძლიერესი კოლექტივის ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. დანარჩენ ექვს გუნდს პაექრობა ჰქონდა კაუნასში.

როგორც მოსალოდნელი იყო, აქ თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონებმა — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელებმა, რომლებმაც კაუნასის ტური დაუმარცხებლად გაიარეს.

ტურის უკანასკნელისწინა მატჩი რიგელებმა მოიგეს ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ 88:33, ხოლო გუშინ დაამარცხეს კიევის „დინამო“ ანგარიშით 60:33.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევდა კაუნასის „პოლიტექნიკი“. გუშინ „პოლიტექნიკის“ გუნდმა დამატებით დროში დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 77:69.

ამრიგად, რიგის ტტტ-მ კაუნასის ტური ბრწყინვალე შედეგით — 5 ქულით დაამთავრა. მომდევნო ადგილი ოთხი ქულით დაიკავა კაუნასის „პოლიტექნიკმა“.

მცირე შესვენების შემდეგ თორმეტივე გუნდი თავს მოიყრის კიევში და დაამთავრებს პირველ წრეს.

ქარიმსალი საჭიდრაკო ღაუებზე

ხუთი ტური გვაშორებს საკავშირო-საჭადრაკო ჩემპიონატის ფინიშს. აქ წამყვანი პოზიციები კვლავ გროსმაისტერებს უკავიათ.

უკანასკნელ ტურებში თავი გამოიჩინა **შტეინმა**, ამიტომ საერთაშორისო ოსტატის **მიკენასს** წინააღმდეგ მეცამეტე ტურის პარტიაში მას წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. ფაქტიურად კი ჭადრაკის მოყვარულები სულ სხვა სურათის მოწმენი იყვნენ. შეიქმნა პოზიცია, სადაც ლიდერის — **შტეინის** მდგომარეობა ეიმედო იყო. მოულოდნელად **მიკენასმა** მეცდომა დაუშვა, ხელიდან გაუშვა ინიციატივა და 34-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა.

ტაიმანოვმა დაამარცხა **ლეპიოშკინი, ბრონშტეინმა — ბიხოვსკი. კერეს-სიმაგინისა** და **კუზმინ-ხასანინს** პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიო.

გუშინ გაიმართა მეთოთხმეტე ტური. გროსმაისტერმა **შტეინმა** დაამარცხა **კუზმინი** და 10 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. **სიმაგინ-პოლუგაევსკის, სახაროვ-გუფელდის. ბრონშტეინ-ლიავდანსკისა** და **ოსნოს-კერესის** პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. უკვე გამოვლინდა შვიდი მეთხუთმეტფინალისტი. ესენი არიან: ესპანეთის **„რეალი“**, ინგლისის **„მანჩესტერ იუნაიტედი“**, ბელგიის **„ანდერლეხტი“**, იუგოსლავიის **„პარტიზანი“**, ჩეხოსლოვაკიის **„სპარტა“**, უნგრეთის **„ფერენც ვაროში“**, პორტუგალიის **„ბენფიკა“**.

ბანდარინის კრეფაში თავი ისახელა ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პირველი კურსის სტუდენტმა კომკავშირელმა მზია ტაბაღუამ. იგი ყოველდღიურად 150 კილოგრამს ნაყოფს კრეფს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 კილოგრამისა.

• • •

სურათზე: მზია ტაბაღუა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ა. ბეგიამვილი — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა არჩილ თედოს-ძე ბეგიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე **„ანალიზის მეთოდი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა ატესტაციო კომისიამ დამტკიცა ა. თ. ბეგიაშვილისათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

სტუმრად კოლეგებთან

ჟუთაისი. (საკ. კორ). საწარმოო გაერთიანებულ ბაზიარების მიზნით ჟუთაისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივის დელეგაცია დეპოს უფროსის ო. ფოცხიშვილის მეთაურობით სტუმრად იყო ლენინაკანის და გალაჯარის სალოკომოტივო დეპოებში.

ჟუთაისელმა რკინიგზელებმა რამდენიმე დღეს დაჰყვეს სომეხ და აზერბაიჯანელ თანამოსამეგობრებთან, დაწერილებით გაეცნენ მათი მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

შეხვედრა

ბათუმის ნავსადგურის კლუბში ცნობა მოვიდა, ინგლის-საბერძნეთლიბანის ერთ-ერთი კომპანიის სატვირთო გემი ჩამოდგა, რომლის ეკიპაჟის შემადგენლობაში ძირითადად ბერძნები არიან. ამ ამბავმა განსაკუთრებით კლუბის აქტივისტი, შავთვალა ქალიშვილი ვიოლეტა სემკო გაახარა.

ვიოლეტა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია, განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს უცხო ენების შესწავლისადმი. იგი ბერძენია, მშობლიური ენის ჯარდა კარგად ფლობს ქართულს, რუსულს, ინგლისურს და ცოტაოდენ იტალიურსაც. ამიტომ მას კლუბში გაჯირვების ტალკვესს ეძახიან.

ბუნებრივია, ბერძნების ჩამოსვლამ მასზე თავისებურად იმოქმედა.

— ელადის შვილები ჩემი ძმები არიან. წავიდეთ მალე მოვთბატკიოთ! — მოსვენება არ მისცა ინტერნაციონალური სექტორის გამგეს ნ. ეკგენიძეს.

ისინი ეკიპაჟის გასაცნობად წავიდნენ.

ღუზაზე იდგა საატვირთო გემი „უოლდპის“ (მშვიდობა მსოფლიოს). გემის კაპიტანი გეროგიანოს ელიასი ტიპიური ბერძენია, ხორბლისფერი სახის კანით, სწორი ნაკვთებით, შავი თვალებით. კაპიტანმა რატომღაც მოისურვა ინგლისურად ელაპარაკათ, თავი მედიდურად ეჭირა, როგორც თვითკმაყოფილებით შეპყრობილ დენდის.

გემბანზე მეზღვაურებიც მოგროვდნენ.

ინტერსეტერორის გამგემ კაპიტანს შესთავაზა უფასოდ ესარგებლათ ხაზღვაო კლუბის მასპინძლობით.

კაპიტანი ჩაფიქრდა — გემი ერთ კვირაზე ადრე არ დაიცლებოდა, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მეზღვაურები მაინც მოითხოვდნენ ქალაქში ნახვლის ნებართვას, მაშ რაღა აზრი ჰქონდა უარის თქმას? კაპიტანმა მრავალმნიშვნელოვნად აიჩეჩა მხრები და ევგენიძეს უთხრა, მეზღვაურებს თვითონ მოელაპარაკეთო.

ვიოლეტაც ამას ელოდა. იგი ორიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა მზით გარუჯულ ბიჭებს და მხიარულად მიესალმა: ხერეთე ადელფიამუ! (გამარჯობათ, ძმებო!).

ბერძნული რომ გაგონეს, ბიჭებს სახე გაებადრათ. ერთბაშად ალაპარაკდნენ, ათასი შეკითხვა მისცეს. ქალიშვილმა მათ აუხსნა, რომ კლუბში შეუძლიათ უფასოდ ნახონ ტელეგადაცემები, კინოსურათები, ითამაშონ ბილიარდი და მაგიდის ჩოგბურთი, მოისმინონ ლექციები, დათვალიერონ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ავტობუსით გაისეირნონ ქალაქგარეთ.

— ქალაქში ბევრი ბერძენი ცხოვრობს? — ჰკითხა ხანშიშესულმა, ვაჟკაცური გარეგნობის მეზღვაურმა სთათოს სკლავენტისმა.

— ზუსტად ვერ გეტყვით. უფრო მეტი სოფლად ცხოვრობს. მარტო ქობულეთის რაიონში ბერძნების სამი სოფელია.

— ოჰო, — გაიკვირვეს მეზღვაურებმა, — აქ საიდან მოხვდნენ?

— თურქეთში უცხოვრიათ, რუსეთ-თურქეთის ომის დროს შესაძლებლობა მისცემოთ და აჭარაში გადმოსახლებულან.

— გაჭირვებით ცხოვრობენ?

— თუ გნებავთ, წავიდეთ, თვითონ ნახეთ.

გადაწყდა მეორე დღესვე წასულიყვნენ სოფელ დაგვაში.

დაძაბულ დროს კლუბში თხუთმეტი მეზღვაური მოვიდა, მათ შორის ერთი ინგლისელი იყო. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ბიჭმა, ერთი 13-14 წლისა თუ იქნებოდა, მეორე 17 წლის. ავტობუსში წინა სავარძელი დაიკავეს. ეს ნაადრევად დაკაცებული ბაბუკები სიგარეტებს განუწყვეტლივ აბოლებდნენ. დამაინტერესა მათმა ბედმა, უფრო ბატარა იმ ახოვანი მეზღვაურის შვილი აღმოჩნდა, გუშინ აქაური ბერძნების შესახებ რომ იკითხა. ათენის მახლობელ სოფელში ცხოვრობდნენ თურმე, ეკონომიურმა ხელმოკლეობამ შემდეგ აიძულა ჯერ კიდევ 11 წლისას დაეწყო გემზე მუშაობა. წინათ სხვა გემზე უოფილა. ახლა მამა ბედნიერად თვლის თავს, რომ შვილი თავისთან გადმოიყვანა.

მეორე ბიჭი — მიხალინაკის მიხალისი ხუთი წელია გემზე მუშაობს დამმბარედ. ოჯახში მშობლებს ხუთი შვილი პყოლიათ. მათ შორის მიხალისი ყველაზე უფროსია. ადრე მოუხდა მძიმე ხვედრთან ჭიდილი. მისი ერთადერთი მიზანია როგორმე ფული იშოვნოს და ოჯახს დაეხმაროს. მოუმწიფებელი მეზღვაურების ბავშვურ თვალებში მძიმე შრომით გამოწვეული დაღლილობა ადგილედილიყო.

ბუნებრივ სილამაზით ძნელია გაკვირვო მეზღვაურები, რომლებსაც მსოფლიოს უმშვენიერესი ადგილებისათვის გადაუვლიათ თვალი, მაგრამ როცა ჩვენი ავტობუსი მწვანე კონცხის აღმართს შეუდგა და გზის ორივე მხარეს გამოჩნდა ოჭროსფერი ნაყოფით დატვირთული ციტრუსის ბაღები, თეთრად შეფეთქილი დასასვენებელი სახლების კორპუსები, ხოლო ქვევით მუქ-ლურჯად გაწოლილი ზღვა, აღტაცებით წამოიყვირეს: ადრიატიკა! ადრიატიკა!

ჩვენი კუთხის ხედები თავიანთ სამშობლოს მიამსგავსეს.

ავტობუსმა მთავარი გზიდან სოფელ დაგვისაკენ გადაუხვია. თვალწინ გადაგვეშალა ტბასავით ჩაგუბებული ჩაის პლანტაციები, ციტრუსთა და ხეხილით დაფარული გორაკები, ქვითკირის ორსართულიანი სახლები.

ალბათ სტუმრები ქოხმახებს, სიდუხჭირეს მოელოდნენ. მაგრამ ქართულმა მიწამ თავისი მსუყე კალთა ბერძნებისთვისაც უხვად გაიმეტა. ამას ნათლად ხედავდნენ უცხოელი სტუმრები და თავიანთ აღტაცებას არც ფარავდნენ.

გვკითხეს, საიდან წარმოდგებოდა სოფლის სახელწოდება — დაგვა. ეს ჯერჯერობით არავის დაუზუსტებია. აფხაზურად დაგვა გამოქვაბულს ნიშნავსო, თქვეს. სოფელი ხევში ისეა შეჭრილი, მართლაც ჰგავს გამოქვაბულს. ან შეიძლება ქართულ სიტყვა ნვა-დაგვასაგან წარმოდგებოდეს, ვინაიდან 1878 წელს, როცა გადმოსახლდნენ, ეს ადგილები ტყით ყოფილა დაფარული. ცხადია, მათ მძიმე შრომის გაწევა მოუხდებოდათ მიწების ასათვისებლად.

როგორც ჩანს, მთელი სოფელი მოელოდა უცხოელ სტუმრებს. გზადაგზა მხიარულად ესალმებოდნენ, სოფლის მოედანთან საზეიმო შეხვედრა გაუმართეს, ძმებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ანდრიადიმ სტუმრებს გააცნო მოწინავე ადამიანები და სოფლის ეკონომიკა.

დაგვაში 650 კომლია. შემოსავლის ძირითადი წყარო ჩაი და ციტრუსებია. მათ წელს სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს — თვითეულ ჰექტარზე 7.000 კილოგრამი „ოქროს“ ნაყოფი მოკრიფეს. სოფელს სოციალისტური შრომის 13 გმირი ჰყავს. თვალის ერთი გადავლებითაც აშკარად ჩანდა დაგველთა წარმატება.

მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს კულტურის სასახლე, რომელსაც ახლახან ჩამოხსნეს ხარაჩოები. უცხოელები მოხიბლა კოლონადებითა და მიმზიდველი არქიტექტურით ნაგებმა მონუმენტურმა შენობამ, რომლის დარბაზი 700 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული.

სტუმრები საღამომდე დარჩნენ სოფელში. მასპინძელთა გულუხვობით ნასიამოვნებთ განშორებისას ცრემლიც კი მოერიათ, ეტყობოდათ, გული მოძმეებთან რჩებოდათ.

ავტობუსი დაიძრა. კარგა ხნით მძიმე, სევდიანი დუმილი გამეფდა, თვითეული საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყო.

ხევი რომ ჩამოვათავეთ, შეზარხოშებულმა მიხალისმა სევდიანი მელოდია წამოიწყო. მელოდია და სიტყვები დაუმთავრებლად მეორდებოდა. ვიოლეტას ვთხოვეთ სიტყვები ეთარგმნა. ეს იყო სიმღერა დედაზე, დაახლოებით ასეთი შინაარსის:

დედავ, ძვირფასო,
სადა ხარ ახლა,
გული მიკვდება,
როდისღა ვნახავ...

ბიჭს გადავხედე, სავარძელზე მიყრდნობილს თავი გვერდზე გადაეგდო, უმწიკლო, ბავშვური თვალები ცრემლით ავსებოდა. იგი არ ეშვებოდა აკვიატებულ მელოდიას. იქნებ იმ წუთში თვალწინ დედა ედგა და გულის დარდს უზიარებდა.

— ხშირად დადიხარ შინ? — ვკითხე შემდეგ.

— ორ წელიწადში ერთხელ. — ძლივს გასაგონად ამოილაპარაკა და თავი ჩაქინდრა.

ცოტა ხნის შემდეგ კი გულახდილად ალაპარაკდა:

— მომეწონა ქართველები, ბერძნებსა ჰგვანან. კარგია თქვენი ქვეყანა. სკოლაში გვასწავლიდნენ, საბჭოთა კავშირში სოლტაკე და დესპოტიზმიაო, წითელი დროშა იმის სიმბოლოა, რომ სისხლი უყვართო. სამშობლოში რომ დავბრუნდები, მე სიმართლეს ვეტყვი ხალხს.

უცხოელი ბერძნები კლუბში წავიდნენ და შუაღამემდე დარჩნენ. ახლა უფრო შინაურულად. მოკრძალებული გრძნობებით ეხვეოდნენ მასპინძლებს, სიამოვნებით მიიღეს შეთავაზებული სუვენირები.

მეორე დღეს კლუბში იმდენი მეზღვაური მოვიდა, რომ ხუმრობით თქვეს, გემზე მხოლოდ კაპიტანი დარჩაო.

არ ვიცით, მეზღვაურებს რა ჯმბები მიმქონდათ გემზე, მთავარი ის არის, რომ გემის კაპიტანი გეროგიანოსი ვერ მოერია აღძრულ ცნობისმოყვარეობას და მეზღვაურებს თვითონაც მოჰყვა. ასეთი ვიზიტი კაპიტანმა რამდენჯერმე გაიმეორა.

დადგა განშორების ჟამიც.

აღსანიშნავია ხნიერი მეზღვაურის, სთათოსის სიტყვები, რომელიც მან შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„თქვენთან თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში. ამიტომაც იყო, რომ არ გვიგრძვნია ჩვენი სამშობლოს სიშორე. თქვენი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობის მაგალითს გადავიტანთ ჩვენს ქვეყანაში, ვიცხოვრებთ იმ ოცნებით, რომ კვლავ შოგვიხდება თქვენთან დაბრუნება და თქვენი ნახვა“.

ამ ფრაზას ოცამდე ბერძენი მეზღვაური აწერს ხელს.

მ. გორგილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნადავლი — 23 დათვი

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფელ გრძელჭალის მცხოვრებნი მთიდან თოფის ხმას რომ გაიგონებენ, კოლმეურნე ალ. ხუციურაულს ახსენებენ. ის არის, ის ტყეულად არ გაისროდა, მგელს ან დათვს მოკლავდა, — იტყვიან ხოლმე, და მართლაც ხუციურაული ნადირობიდან ხელცარიელი ჯერ არ დაბრუნებულა.

ამას წინათ ხუციურაულმა ღამე „ღოლიანების“ მიდამოებში გაათია. დათვლილი მთებიდან ცივი ქარი ქროდა, მაგრამ მონადირეს არა სცივოდა. ნადირის მოლოდინში ღამე მალე დაილია.

განთიადისას ტყეში ტოტების ლაწალაწი მოისმა, ფოთლების შრიალი ძლიერდებოდა. მონადირემ იგრძნო, რომ დათვი უახლოვდებოდა. თოფი მოიმარჯვა და სწრაფად გადაიქცა. აი გამოჩნდა კიდეც ვეებერთელა ძუ დათვი. ახლო მანძილზე მოუშვა და ერთი გასროლით ძირს დასცა. ხუციურაულმა ეს უკვე ოცდამესამე დათვი წამოიღო მთიდან.

ეროვნული ბანკი

ბოლო დროს ... ეროვნული ... ეროვნულ სოფლებში. შესაბამისად გაიზარდა მაყურებელთა რიცხვიც. ეს უთუოდ რაიაღმასკომის კინოფიკაციის განყოფილების მუშაკთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რისთვისაც მათ დაიმსახურეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურა-განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

აკ. კერესელიძე.

□ **მახარაძე.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ძვირფასი საჩუქარი მიიღეს სოფლების ცხემლისხიდის, ბაღდადის, ვაკიჯვრის, ფამფალეთის კოლმეურნეობების მშრომელებმა — მდინარე ნატანებზე გაიხსნა ხიდი.

□ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). სამოცი წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს კალისტა ბარათაშვილს. ორმოცდასამი წელია ასწავლის იგი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. უმწიკლო მუშაობისათვის კ. ბარათაშვილი დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით.

ამ დღეებში კულტურის სახლში ზესტაფონის სახოგადოებრიობამ საზეიმოდ აღნიშნა კ. ბარათაშვილის დაბადების 60 წლისთავი.

სნაიპერები ავჭალის სასროლეთზე

მიმდინარე სპორტული სეზონის მიწურულში უკრაინისა და საქართველოს ტყვიის მსროლელთა პაექრობა ავჭალის სასროლეთზე ერთ-ერთი მიმზიდველი ასპარეზობა გამოდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მაღალი შედეგები აჩვენეს.

„გაქცეულ ირემზე“ ორმოცდაათ ერთგზა გასროლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 863 ქულა შეაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს, ამასთანავე საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს. საბრძოლო ნებისმიერი შაშხანის სროლაში (3×20) წარმატება სტუმრებმ ხვდა. აღსანიშნავია, რომ ა. პრივორჩენკომ მაქსიმუმი — 200 ქულა შეაგროვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში წინ არიან სტუმრები (18 ქულა). მასპინძლებს 12 ქულა აქვთ. დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

სპორტული ქრონიკა

● სსრ შავშირის ხელბურთელთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. შვეიციიდან საბჭოთა ხელბურთელები ისლანდიას ეწვევნენ და პირველი საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ რეიკიავიკში ისლანდიის ნაკრებთან. შეხვედრის შედეგია 16:14 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

● **მსოფლიოს ჩემპიონი შაიბიან ბოკეიში სსრ კავშირის ნაკრები გუნდი კანადაში იმყოფება. მეორე მატჩი ჩვენს ბოკეისტებს ჰქონდათ კვებეკში კანადის ნაკრებთან და კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 8:6.**

● **პრაღაში** დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის პირველობის - ჯამბაზობა სპორტულ ტანვარჯიშში. ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 19 წლის სპორტსმენი **იაროსლავა სედლაჩკოვა.** ოლიმპიურ ჩემპიონს **ვერა ჩასლავასკას** შეჯიბრებაში მონაწილეობა არ შეუღია.

უძლიერესთა ათეული

ამერიკულმა ჟურნალმა „რინგ-მაგაზინმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ათი საუკეთესო მძიმეწონოსანი პროფესიონალის სია 1965 წ. დეკემბრისათვის. წლის № 1 მოკრივედ არჩეულია მსოფლიოს ჩემპიონი ჯასეფს კლეი, რომელიც ზემოხსენებული ათეულის გარეთაც კი დგას.

აი მთელი ათეული:

1. ერნესტ ტერელი (აშშ), 2. ფლოიდ პატერსონი (აშშ), 3. ჯორჯ ჩუვალო (კანადა), 4. პარლ მილდენბერგერი (გფრ), 5. ცორა ფოული (აშშ), 6. ამოს ლინკოლნი (აშშ), 7. ტედ სპენსერი (აშშ), 8. დუნ ჯონსი (აშშ), 9. ჯუბერტ კილტენი (აშშ), 10. ბრაიენ ლონდონი (ინგლისი).

ამ ათეულზე რომ ლაპარაკობს, ამერიკული პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ პროფესიული კრივი, რომელიც ხან სისხლისმღვრელ ცემატყეტად იქცევა, ხან ცუდად გათამაშებულ კომედიად, ყველა ქვეყანაში დაცემისაკენ მიდის. მის ძირითად ბურჯად ამერიკის შეერთებული შტატები რჩება (11 „უძლიერესიდან“ რვა ამერიკელია). მაგრამ ახლა ამერიკის ზოგიერთ შტატში პროფესიული კრივი აკრძალულია. სხვა შტატებში კი საზოგადოებრიობა სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს მის აკრძალვას. საკმარისია ითქვას, რომ კლივლენდის მერი კეინ მატჩის შემდეგ ასეთი მოთხოვნით გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოვიდა.

... ეს ... ეს ... ეს ...

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1965 წლის 29 დეკემბერს, დღის 2 საათზე, № 1 აუდიტორიაში (ჩავჩავაძის პრ. 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ციცა იოსების ასული ჩუბინიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„მარწყვის მავნე ფაუნის დაზუსტების, უმთავრეს სახეობათა ბიოეკოლოგიის შესწავლისა და მათ წინააღმდეგ შხამქიმიკატების გამოცდის შედეგები საქართველოს პირობებში“.**

30 დეკემბერს, დღის 2 საათზე, VI კორპუსის სხდომათა დარბაზში (ჩავჩავაძის პრ. 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირაკლი აპაკიძ-ძე კენჭოშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„ჰემინგუეის ნოველა“.**

29 დეკემბერს, დღის 4 საათზე, № 2 აუდიტორიაში (ჩავჩავაძის პრ. № 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ციმი ნიკოლოზის ასული ინაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„არაგვის ხეობის მღიერები“.**

29 დეკემბერს, დღის ორ საათზე, საავტო დარბაზში (ი. ჩავჩავაძის პროსპექტი № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბიძინა ივანეს-ძე ლუტიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საწარმოო საფუძვლები“.**

30 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ჩავჩავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **არჩილ კონსტანტინეს-ძე სულაქველიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„განზოგადებული გაყოფილი სხვამბები და მათი ზოგიერთი გამოყენება“.**

30 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ჩავჩავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **რუსუდან ივანეს ასული ბერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„რიცხვთა წარმოდგენის შესახებ რვაცვლადიანი დადებითი დიაგონალური კვადრატული ფორმებით“.**

დისერტაციების გაცნობა შე